მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმიN6

ქ.მარტვილი

25 მაისი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 13⁰⁰ საათზე, დამთავრდა 14⁰⁰ საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, შალვა ბახია, ელიზბარ ახვლედიანი, ნათია ბჟალავა, ლაშა ქობალია, ვლადიმერ დანელია. სხდომას ასევე ესწრებოდნენ; საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

დღის წესრიგი:

1. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/ 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ს.კ: 41.06.31.307 ნაკვეთზე განთავსებული №1 ნაგებობიდან , ერთი ოთახის 30 კვ.მ ფართის, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (23000 ლარი) 5% ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

5. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა საკითხების წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 9 წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული საკითხები და დასძინა რომ აღნიშნული საკითხები განხილულია საკრებულოს შესაბამის კომისიებში და წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნებიც რაც საშუალებას გვაძლევს აღნიშნული საკითხები შევიტანოთ საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში და ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: კობა დარჯანიამ აღნიშნა რომ წარმოდგენილი საკითხები მათ მიერ შესწავლილია და დამატებით განხილვას არ საჭიროებს და შესაბამისად მხარს უჭერს აღნიშნული საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა საკითხების წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 9 წევრმა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 9 წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ გიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა